თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი 28 მარტი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში გზების (გაფრინდაშვილის, დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ. შეკეთების – ბეტონით, ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის – დაწნეხილი ფილებით, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის – დაწნეხილი ფილებით, რუას ქუჩის სავალი ნაწილის შეკეთების – მონოლითური ბეტონით, ნიკეას ქუჩის II შესახვევში №6 და №10 საცხოვრებელი სახლების შემაერთებელი შიგა კვარტალური გზის –ბორდიურებით, ა/ბეტონით, ჭავჭავაძის გამზირის მესამე შესახვევის სავალი ნაწილის შეკეთების – ასფალტობეტონით) მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №388. 22.03.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა".

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა" წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარზე (დღგ–ს გარეშე).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 28 მარტის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები

შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა" მიიღო 37,2 ქულა.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში გზების (გაფრინდაშვილის, დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ. შეკეთების – ბეტონით, ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის – დაწნეხილი ფილებით, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის – დაწნეხილი ფილებით, რუას ქუჩის სავალი ნაწილის შეკეთების – მონოლითური ბეტონით, ნიკეას ქუჩის II შესახვევში №6 და №10 საცხოვრებელი სახლების შემაერთებელი შიგა კვარტალური გზის – ბორდიურებით, ა/ბეტონით, ჭავჭავაძის გამზირის მესამე შესახვევის სავალი ნაწილის შეკეთების – ასფალტობეტონით) მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: **დავით ანდღულაძე**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **კოტე რატიანი**

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი